შენთან, აი, რა სათხოვარი გვაქვს: 1) დასწვრო, რასაკირველია ქართულ ენაზე და, თუ შესაძლებელია, ლექსად წინასიტყვაობა წიგნისათვის, ბიოგრაფია განსვენებულისა და ეპიტაფია მის ძეგლისათვის და 2) გამოგზავნო, თუ ვაქვს, მისი ლექსები, ან დაბეჭდვის ღირსი წერილები და აგრეთვე ოთხმოცი მანეთი, რომლის შემოტანა შენმა ძმამ ზაქარიამ შენ მაგიერ ხელის მოწერით განიზრახა. — არ ეცი, ბედი ქართლისა“ როგორ უნდა დამბეჭდოს, რადგანაც ზოგიერთი ალაგი ძალიან თავისუფალი არის. თუ გასწორდება, კარვად იცი, ბევრს დაქარვავს მთელი პოემა, მაგრამ ამის ამბავსაც შეგატუბონინებ, რასაც ვარჩევთ.

ახლა ტფილისის ამბები. აქ მალმალ ტანჯობა აქვთ, დაიარებიან ხან თეატრში, ხან ეოლტიოტორებთან და აკრობატების სანახადად, ხან მქანაიურ თეატრში და ძაღლების კამედიაც არის. წარმოიდგინე სამსავე ამ ვასართობს კვირაში სამ-სამჯერ წარმოადგენა აქვს და მუდამ ხალხით სავსეა. დავიღუპნენთ გამდიდრების მაგიერად, და ლუბერსკი პრავლენიამაც მოუხშირა ვადის დანიშნა აქაურ მებატონეთ მამულების გასაყიდად. — ილიკო ელისავეტოპოლის მახრაში ავახაყვს იქვს. ყულანაც თანა ჰყავს. იმ ღღეს ოთხი ავახაკი გამოტანებინა ყაფლანისათვის. უნდა გენახა ყაფლანი, იარალში ჩამჯდარი, და ოციის ყახებით რომ შემოვიდა ქალაქში და მთავარ-მმართველთან მიასხა რაზმონიკები — მშვიდობით, გრიგოლ, შენნი ყოველნი მშვიდობით არიან.

შენი ლეან მელიქოვი.

P. S. მომიკითხე მიხაკო, იმის წინადა გიორგის ჯერის ამბავს ბებუთავე გეტყვისთ. რა ღმერთი გაგიწყრათ, რომ რიგზე რაბორტი ვერ დააწერინეთ, რომ ლაპარაკი აღარ ყოფილიყო. — ახლა მიანიც ეცადნით, თორემ დაქარვავს. გუშინ შეიტყვე, მითომ ნაშესტნიკს ეთქვას ვსილისათვის, რომ მეორე დღეა შურა იქნებაო, არ ეცი მართალია თუ არა? აქ ბევრი ძაღ... მამ...ნი არიან, მანდვე სჯობია.

ლ. მ.

მ თ ი უ ლ ნ ი



თითულებს საზოგადოდ ყოველგან ეძახიან მთის მთხრობებში და მთათ-საიანებში დასახლებულს ერსა. ჩვენ კი ეფხებით იმ ნაწილს საქართველოსას, რომელიც შეიცავს არაგვისა და თერგის ხეობას, საცა ვადის საქართველოდან რუსეთისაკენ სამხედრო გზა მკნებოდან მოკიდებული ღუშეთს, ყა-

ზბევს, დარიალზედ და ჩადის კავკავში. ამ ხეობას იხსენიებენ ძველი ბერძნებისა და რუმელების მწერლები პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე საუკუნეებში ქრისტეს დაბადებამდის და ქრისტეს შემდეგაც. სპარსების ზღაპრული ამბები ამ დარიალის შესახებ მეექვსე საუკუნემდისაც აღის, სანამ ქრისტე მოვიდოდა ქვეყნად.

რომის ისტორიკოსი ტაციტე აღწერს ამ გზას როგორც სარმატების მომთაბარე ხალხის შემოსასვლელს. ის ამბობს თავის მატიანეს მე-VI წიგნში, რომ ეს კავკასიის მთის გასავალი ქართველ მეფეს ფარსმან ძლიერს ეჭირა ხელშიო, თვით დარიალის გასავალში ციხე ჰქონდა აგებული, სამხედრო გზა რკინის ალაყაფის კარგით იცეკებოდა და ციხეში დარაჯები ეყენაო. ღღეს მხოლოდ ამ დარიალში მცხოვრებს ქართველებს შერჩენიათ მთიულის სახელი. უწინ კი ყველა კავკასიის მთებში მცხოვრებ ერთა ეძახოდნენ მთიულებს, როგორც ჩვენი მესტორიენი, ისე უცხო ქვეყნელები. მაგალათად ტაციტი ამბობს, რომ მთელი კავკასიის მიწის ყელი ქართველებს და ალვანელებს უჭირავთო. ქართველები არიან შეძლებული და წარჩინებული მიწის მომუშავე, მხენ და თავისუფლების მოყვარე ენაო. ისტორიკოსი მომხენი პირდაპირ გამოსთქვამს იმ აზრს, რომ ძველ დროში ქვეყნის დამყარობს მეფეებს კავკასია და იქ მცხოვრები მამაცი ქართველები უდებდნენ საზღვარს, წინ ეღობებოდნენ ბძობლით და აჩერებდნენ; სპარსეთის დამპყრობი კვიროს დიდი და ალექსანდრე მაკედონელი ქართველებმა შეაჩერესო. თვით დარიალი, თუმცა ამბობენ, რომ ეთიომც ეს სიტყვა სპარსული იყოს, მაგრამ რამდენადაც სპარსულია, იმდენად უფრო ქართულია. აქ გამოსტკეპის საერთო ირანული, ანუ ინდო-ევროპული ძირი: დაზაღანა ანუ ვარა ზღვანთა. სტარბონი და ტაციტი ერთად ამტკიცებენ, რომ ალვანელები და იბერიელები (ქართველები) მონათესავენი და მოკავშირე ხალხები არიანო. იმათ უჭირავთ ხელში შავი ზღვიდან მოკიდებული კასპიის ზღვამდე მდებარე ქვეყნებო, ლაპარაკობენ ერთნაირი ენით და ესმით ერთმანეთის სიტყვა-პასუხიო. მათი მეცნიერებით ალვანია უნდა რქმევოდა შაკი-შირვანის და დარისტანის ქვეყნის ხალხებს, ესე იგი ლეკებს. იბერიელები კი ქართველები იყვნენ. ამათ შორის იდეა საზღვრად დარისტანის მთები, საშხრეთისაკენ ჩამოწოლილი მთის ტოტებიანა მტკვრამდის და არაქსამდის, საცა ალაზნის შესართავს ქვემო ადგილებია, ძველი ბარდის ქალაქამდის, შამქორის მახლობლად.



ტაკტი შემდეგ ნაირად ასწერს საქართველოს მეფის ფარსმანისა და პართელების მეფის ოროდესის ბრძოლას:

„ქართველებს ჰყავდათ ქვეითი და ცხენოსანი ჯარი ჯაგშან-მუზარადებში ჩისხმული. იმათი იარაღი იყო დიდი სატყვერები (ორპირი ხმლები), შუბი, შვილდისარი და გმელი კარების ტოლა ფარები... ისინი დაეტყვენ ოროდესის ცხენოსანს ჯარს შემდეგ ნაირათ: ჯერ წინ მივიდა ცხენოსანი ჯარი, რომელმაც მარჯვნივ და მარცხნივ დაუარა მტერს თავი და ქვეითმა ჯარმა პირდაპირ მიიტანა იერიშია იმათ დაჰყარეს შვილდ-ისრიები, ხმალ-და-ხმალ შეუტრის ოროდესის ცხენოსანს ჯარს ქვეითად და დაუწყეს ჩება ცხენებსა და კაცებს თავ-პირში“.

აქ დახატულს მითიულთ გროვას სწორედ ამ გვარად აკეთა, როგორც ავგიეურს პლუტარხი იბერიელების ჯარს, როცა იგი რომებრად პომპეოსის დიდს. მათ ეცათ მოკლე სახელოიანი ჯუბა წითელი ფერისა. ზედ რკინის პერანგი ჰქონდათ ვადაც-მული, ხმაობდენ შვილდ-ისარს და ცხურათ თავზე ნაღირის ტყავის მუზარადი, რომელიც წვერში გახერხტილი იყო და იქიდან გვირგვინსაით ამოშვერილი ჰქონდათ გმელი დაწული და დახეული ქაოჩარი. ამ გვართვე ასწერს ქსენოფონტი მოსინაკების ჯარს. ისინი ომობდენ ზოგჯერ ცხენ-და-ცხენ შვილდისრით, ზოგჯერ ქვეითად, ზოგჯერ ხეებს უკან ფეხრებოდენ, ან ხეებზე შედიოდენ და იქიდან ესეროდენ მტერს შვილდ-ისარსა, ან შურულელებით ქვებსა.

ბ. წაერუელი.



უნებაე რისთვის დაღონებულხარ, რად იგლოე წარსულს ნეტარებასა, მწარე ნაღველით რად აღსებებულხარ, რად ემსგავსები მკვდარ არსებასა?

ნუ თუ არ იცი, რომ გაზაფხული კვლავ დაგვიდგება, კვლავ აყვავდება, კვლავ მოფრინდება ნაზი ბუბლბული, კვლავ დაგატკბობენ მისი პანგები?..


სამშობლოე, რისთვის დაღონებულხარ, რად იგლოე წარსულს დიდებულ დროსა, მწარე ნაღველით რად აღსებებულხარ, რად ემსგავსები უსულდგმულოსა?

ნუ თუ არ იცი, რომ ეს დრო შეგი, ვით წინანდელი, მალე გაჰქრება, კვლავ გაგიღიმებს ბედის ფარსკლავი, კვლავ მოგეტყება შენ ძლიერება?..

დღუბ მეგრული

ძალეზის სამზარაულო

სამშაბათს დანიშნული იყო გამოცდა იმ ქალებისა, რომელთაც შეისწავლეს საქმელების გაკეთება. დიდი ხანია საქირო იყო მიტეკია საზოგადოებას ყურადღება, რომ ამ სიძვირეში ჩვენმა ქალებმა არ იციან არც საქმლის გაკეთება და არც მასალის გამოცნობა, რომლითაც საქმელებს ახვეებენ. ეს უმეტრება ჩვენ ახალგაზდა ქალებს თვით სასწავლებლიდან მოხდეთ და ოჯახობაში შესწავლა ხშირად არ მოხდება ხოლმე. პირველად ამ შემოდგომამხვედ მომზის ქალების საქმელ-მოქმედო საზოგადოებამ განიზრახა საქმელების გაკეთების კურსის გახსნა. ეს საზოგადოება კარგა ხანი ემზადებოდა ამ განზრახვის ასრულებას. ერთი წვერი თვით ამ საქმელ-მოქმედო საზოგადოების მართვლობისა, რომელიც თავის უნაგარო მხნეობით შესანიშნავია, წავიდა ამ ზაფხულის პეტერბურგში საქმის შესასწავლად. ამ ნოემბერში საზოგადოებამ განიზრახა კურსების გახსნა, მაგრამ ამ კურსების გახსნეულათ საქირო იყო 15 ქალი, რომელთაც უნდა შეეტანათ თითოს 2მ მანეთი. ამ ფულის შეტანა შეეძლო მხოლოდ შეძლებულ ოჯახს და ამ ოჯახებს კი არ ერქარებოდათ არ ასე ფიქრობდენ: „დეე, სხვამ დაიწყოს; იქნება არაფერი გამოვიდეს, მასხარად ასავადებოც ვაგზდეთ“. ასე რომ პირველად ძლიეს შეგროვდა 12 ქალი. საქმე დაიწყეს, მოსწავლეებმა შეისწავლეს საქმელების გაკეთება და მოთავეებმა მიაღწიეს თავის გულის წაიღოს. გამოცდაზედ, 12 იანვარს, ბგერნი დაესწრენ. იმ დღეს მზარეულ ქალებმა გააკეთეს 19 სხვა-და-სხვა ფერი საქმელები და იქ დამსწრე საზოგადოება დარწმუნდა, რომ ეს საქმე ძალიან სასარგებლო და ყურადღების ღირსია, როგორც ღარიბი ოჯახისთვის, ისე მდიდრებისთვისაც. ესლა ისე წავიდა საქმე, რომ ერთმანეთს აღარ აცლიან. ყველაზე სასიამოვნო უფრო ის არის, რომ ამ საქმელ-მოქმედო საზოგადოებამ არ დაიფიქვა ღარიბებში. როგორც შევიტყეთ, იმათთვის ამ ზაფხულს იქნება უფასოდ გამართული კურსები.



სახჩერის ციხე

„მოდინახე“

მეთ ბუნებას მიუღწეველად გაუხდია საჩხერის ციხე. ის არის ერთს კლდის წვერზე აშენებული. ოთხივე მხრით დღევანდელი და მდინარე ჩაუდის და განკერძოებულია ვარეშო ალაპებიდან, როგორც მიწიდან ამოსული მთის სვეტი. ეს ციხე იუარავს მთელს საჩხერის ხეობას მტრისაგან ომიანობისა, ანუ შინაგან განხეთქილების დროს საჩხერის მახრახში. ამ ციხის წყალობით იქ მტერს ვერაოდეს თუხი ვერ მოუკიდნია.

სახჩერის ციხეს იხსენებს მეხუთე საუკუნის ბერძნის მწერალი პროკოპიოს და უწოდებს მოხვის ციხედ. სოფელი მოხვა მართლაც დღემდის არის საჩხერის მახლობლად.

მეცხრე საუკუნეში საჩხერე იწოდებოდა ჩიხის საერისთაოდ. აფხაზეთის მეფემ გიორგი II აქ დადგინა ერისთავად თავის ძმისწული ტინენი. თამარმეფის დროს საჩხერის მახრა ეკუთვნოდა რაჭის საერისთავოს და განაგებდა კახბერი I. მეთოთხმეტე საუკუნის გასულს აქ დამკვიდრდა ერისთავად აბაშაშიძე, მესამე განაყოფი ძმა ბარათაშვილთა. მეოთხრამეტე საუკუნეში, როცა ვადიდებული აბაშიძის გვარი დასცა იმერეთის მეფეებმა გიორგიმ და ალექსანდრე V, მაშინ საჩხერის მახრაში გაძლიერდა წერეთლის გვარი, სახელდობ პაპუნა წერეთელი. ამას

მოდინახე

უნდოდა დავით აბაშიძის ქალი შვერთო; მაგრამ აბაშიძემ შემოუთვალა: მე ქალს წვივში იძებს არ მიესცემ, სანამდის ციხეს არ აიშენებსო. პაპუნა წერეთელი კიდევ უფრო გაძლიერდა ზემო ყვირის ხეობაში და განახლა უძველესი მოხვის ციხე. მან წამოიჭრა დანგრეულ ციხის კედლებზე ოთხი კოშკის ბურჯი, აღაშენა შიგნით ეკლესია, ააკოჭინახელის შესანახავად ხაროები, ჩააგდო დიდ-დიდი ქვერები, შეიკეთა ციხეში მუკიხოვნები და მეორედ მოუხაფინა მოციქულები აბაშიძეს აქ სიტყვებით: „მოდინახე“. ამიერიდან საჩხერის ციხეს დარქვა „მოდინახის ციხე“. ამას შემდეგ დავით აბაშიძეც და ემოყრა და იწყეს გაძლიერება ორივე გვარებმა. მეფე ალექსანდრე V არ ეპიტნა ეს ამბავი. იმან დაიპატივა დავით აბაშიძე და პაპუნა წერეთელი, სიძე-სიმამრი, ორივე მუხთლობით მოკვლა და უნდოდა იმით ადგილ-მამულის ხელში ჩადგება, მაგრამ პაპუნა წერეთლის ცოლმა გამოიღო ხელი, გამაგრდა მოდინახის ციხეში და მეფემ ველარა უყო რა. უკანასკნელად მოდინახის ციხემ კიდევ განიტყვა სახელი 1810 წელს. ამ წელს ქეთევან, მეუღლე სარდლის ქაიხოსრო წერეთლისა, რომელიც მეფე სოლომონ II-ს გადაეცა სათათრეთში, გამაგრდა ქპრის სხვაგან ყოფნაში, თითონ უმისწებდა და ისროდა ციხიდან ზარბაზნებს. ძალით რომ ვერ აიღეს ციხე, გამკვობით შეეპარნ და მუხთლად შეიპყრეს გიორი დედაკაცი.

ჰარაშაჰა III ათაბაგი

(ისტორიული სურათი)



დეთუთხმეტე საუკუნე კული დრო იყო ქართველებისთვის. ჩვენი ქვეყანა მაშინ განაწილდა სამს სამეფოდ და ხუთ სამთავროდ. საქართველოს ტახტის მემკვიდრე კოსტანტინე*, მხოლოდ ქართლში მეფობდა; იმერეთში და კახეთში სხვები გამეფდნენ. სამცხეში ათაბაგებმა განაქცადეს დამოუკიდებლობა. შინაურმა განაწილებამ საშინლად დაასუსტა ჩვენი ქვეყანა და დამსკრო უცხოთა თვალში ქართველის სახელი. იმ დროს, როდესაც კოსტანტინე მეფე იბრძოდა ცალკე იმერეთში, ცალკე კახეთში, ცალკე სამცხის ათაბაგებთან, სპარსელები შემოდიდნენ საქართველოში, იკლებდნენ ქვეყანას და იტყვიდნენ ციხე ქალაქებს. კოსტანტინე მეფის მეცადინეობამ რომ ვერ გასჭრა და ვერ მოახერხა განდგომილების დამორჩილება, შეკრიბა კათოლიკოზი, ეპისკოპოსები, წარჩინებულები და მათთან განიზრახეთ და: „თუ რაჲ ჰქონდნენ განდგომილობისათვის ქვეყანათა და ვითარ მოაგონ კვლად მეფობასავე თვისსა.“ კრებამ ამ საგანზე ასე დაადგინა: „ეინათვან მტკიცედ დგანან ერთგულებასა ზედა თვისთა რჩეულთა მეფეთა იმერნი და კახნი და კვლად ათაბაგისა სამცხენი, ამისთვის არა განვიზრახავთ ბრძოლასა, რამეთუ თუმცა (არაუ) ეცქმნენთ ერთსა, არაა მოგეცემს მეორე ნებასა, არამედ ვაძალათ ყმი, უცეთუ კვლად ავსო ღმერთმან მეფობასავე შენსა.“

ამ დღეგნობობის თანახმად კოსტანტინე აღაზას ზრუნავდა შვიერთების გულისთვის. იმ დროს სამცხე-საათაბაგოში მთავრობდა ყვარყვარე III.

თი, ამ ყვარყვარე ათაბაგის დროს ცხოვრებდა სამცხეში ერთი ვაჭარი, რომელიც აბრეშუმის ვაჭრობას მისდევდა. ეს ვაჭარი დადიოდა თათრის ქვეყნებში, ყიდლობდა იქ აბრეშუმს, მოჰქონდა და ჰყიდა ახალციხესა და მთელს სამცხეში. 1594 წ. ეს ვაჭარი, ჩვეულებისამებრ, წვიდა შაჰის ქვეყანაში და შეისყიდა ბლშიად აბრეშუმში. ბინად ის იყო ჩამოხტარი ერთს დუქანში, სადაც „შეგროვებულ ქონდა თვის ნეაჭარი. შინ წამოსვლის დროს ჩვენი ვა-

ჭარსა და შაქელს მედუნეს რალაცა უსამაონებო მოუყიდათ და ჩხუბი იწყეს. საქმე იქამდის მივიდა, რომ შაქელმა ძალი იხმარა და გალახა ქართველი. ქართველმა იჩიეოდა ადგილობრიგს მოხელესთან, მაგრამ პასუხი ეცრა მიიღო-რა. მედუნე შეძლებული კაცი იყო და მოსამართლემ მისი მხარე დაიჭრა. გაბრაზებული ქართველი მაშინ დაემუქრა შაქელს: — დამაძადე, ათაბაგთან გიჩიელებ და ჩემს მევიერ ის გავაცემს პასუხსაო. შაქელს ეს მუქარა სიცილიად არ ეცრა. გაჯერებულმა ქართველმა მკვახე სიტყვები მიაყარა ამისთანა სიცილისთვის. თავგასულმა შაქელმა მეორედ გამოიღო ხელი და უფრო გალახა, წაართვა აბრეშუმით სახე ტომარები, გამოავლო დუქნიდან და მიძახა: „არ მიმიბას ყური სამსჯელობთა (ლურსმითა) დუქანსა ჩემსა და მიცეს წიხლი დარბაზსა ამას ჩემსა ათაბაგმან შენმან ამისთვის.“

ღანაგრული ქართველი წამოვიდა თავის ქვეყანაში და შესისილა ყველაფერი ყვარყვარე ათაბაგს. ყვარყვარეს, რომელიც მტრის-მეტად მამაცი და თავმოქმონე კაცი იყო, ძალიან ეწყინა ეს ამბავი და უთხრა ვაჭარს: „კარგი, არა უჭირს-რა, მე ვიცი და იმ შაქელმა მედუნემო.“ ამ დღიდან ყვარყვარეს გულს მოსვენება არა ჰქონია. მისი ფიქრები გამსჭვალული იყო ერთის აზრით: როგორ შევანებებო ის შაქელს მედუნეს ქართველის კაცის გალახვა და გავღეჯა, ან როგორ დასაჯოს პირადი მწურაქყოფისა და დაცინისათვის. მაგრამ არ იცოდა, როგორ ჩავგდო ხელში ეს მედუნე? შეჰსა და სამცხეს შუა იყო ქართლის სამეფო და იქ წასასვლელად უთუოდ ქართლზე, ან საქართველოს სომხეთზე—უნდა გაველო. მაგრამ ეს საშიში იყო მისთვის, რადვან ყვარყვარე ათაბაგი მეფეს არ ემორჩილებოდა. ქართველები, უცქველად ისარგებლებდნენ შემთხვევით, გზას შეუტყავედნენ, შეიპყრობდნენ და მივირდნენ მეფეს! ამ ამბავმა ძალიან დააფიქრანა ათაბაგი, ბოლოს ასე გადაწყვიტა: მოიწვია მთელს სამთავროსთან ხუთასი საუკეთესო ვაჯაკი. აქ იმით გამოუტყდა თავისი განზრახვა—უთავა გამოცდილი ხნინი წინამძღოლები, შესხა ეს ხუთასი ვაჯაკი ურახს (გაუხედნელს) ტყენებზე და გამართა.

საოცარის სისწრაფით გადავიდა ყვარყვარე ამ ჯარით სომხეთში და გაიარა დანისის ხეი. აღგილობრივმა მცხოვრებლებმა მარტო დანახა მოასწრეს, მეტი ვერაფერი. ყვარყვარემ თავის რაზმი გულად დაეცაყანა მტყვარში და გადავიდა შაჰის ქვეყანაში. მტყვარს გალმა ვასული ყვარყვარე გაეშურა იმ ალაგისკენ, სადაც მის შურსაც მყოფელს ჰქონდა

* კოსტანტინე III იყო მე გიორგი VII, აღვიდა ტახტზე 1469 წელსა და გადაიკვლა 1805. ამისი შვილი ბაგრატ ქველი გახდა მუფლისწულე მუხრანისა, რომლის შთამომავლები არიან დღეს მუხრან ბატონები. ამ ბაგრატმა განაახლა მტკრის ციხე, რომელიც დღესაცა სწანს ქანის ტაბაკილიდან ილაქილისკენ.

*) მრე ვეჭვით—მივიკრიოთ.

დუქანი და მივიდა იქ საღამო ხანზე. მედუქნე იჯდა დუქნის წინ და ყალიონს სწევდა. ის გართული იყო თავის ანგარიშებში და ცმაყოფილებას გჩინობდა, რომ შეესაფერის მის სასარგებლოდ წარემართებოდა. უცებ მუცლსა ცხენების თქარი-თქური, გახედ დასაყვლეთისკენ და დაინახა, რომ შორითგან სისწრაფით მოდიოდა ცხენოსანი ჯარი. მედუქნე ფეხზე წამოდგომაკ ვერ მოასწრო, რომ მის დუქანს ახლო ცხენოსანები გაჩერდნენ. გაკვირებული ქართველების დანახვით მედუქნე იდგა თებრუ-დასხმული და არ იცოდა, რა ეფუჭა. ამ დროს თელი მოჰქრა, რომ ერთი ცხენოსანი წამოვიდა წინ და მას მოსდევდა ცილად დიდებულად: „აი ბატონო, ეს გახლენი ის კაცი, რომელმაც გამოხა და წამართვა ჩემი ქანები“. მედუქნე მხოლოდ ეტლა იცნო, რომ ეს კაცი იყო მისგან გაღაზული ქართველი. მაშინვე მიხედა, რომ ის დიდებული კაცი თვით ათაბაგი უნდა ყოფილიყო. შიშის ზარბა გაურბინა ტანში შაქელს და თრთოლამ აიტანა. მან ქართული კარგად იცოდა და ყველაფერი გაიგონა. ყვარყვარე მიუბრუნდა შაქელს და ჰკითხა: „მართალია თუ არა, რასაც ეს კაცი ამბობსა“. ზარბადაცემულმა მედუქნე პასუხი ვერ მახერხა და მხოლოდ ამობოძა: „შენი ჰირიმე, ბატონო, შენი ჰირიმე!“ ყვარყვარე შიშით ქართველები შევიდნენ დუქანში, მოძებნეს ქართველის ეაჭრის აბრეშუმით სასენ ტომრები და გამოიტანეს; შემდეგ გაუბერიტეს მედუქნეს ყური და მიულოურსმეს დუქნის კედელზე. ეს ამბავი მოხდა სულ რამდენსამე წამსა. შესარულა თუ არა ყვარყვარემ ქართველი კაცის მუქარა შაქელ ეაჭრზე, ფიცხლად გამობრუნდა. შაქის მებატონენ ქართველების მისლა მაშინვე გაიყო, მაგრამ ჯერ მის გაოცებას და გაცივრებებს არ გაეარნა, რომ ქართველებმა დაადგეს შაქის სახლგარი. იმავე წამს გავრცელდა ხმა, რომ ქართველებს მედუქნე მიულოურსმიათ ყურით დუქნის კარებზე და წასულანო. ამერიოდან შაქელ მედუქნეს დარჩა გახერცილი ყური ნიადგ მოსაგონებლად ყვარყვარე ათაბაგის ძალისა, რომელიც მან ასე დაუფიქრებლად აიგლო მასხარად.

ყვარყვარე გამობრუნდა უკან, მაგრამ რა გზით უნდა მისულიყო თავის სამთავროში? ისევ იმ გზით შეუძლებელი იყო. გველით თუ ისე სისწრაფით გაიარა, რომ საომრის მცხოვრებლებმა ვერ მოასწრეს წინააღმდეგობის გაწევა, უკან დაბრუნებისას უთუოდ გაუღარაჯდებოდნენ. შეიძლება ჩასაფრებულად სადმე დახედროდა ქართლის მეფის ჯარი. ამიტომ ყვარყვარემ არჩია სულ სხვა გზით წასვლა,

საითყნად მას სრულებით არ მოელოდებოდნენ. ეს გზა იყო შუა ქართლი. ყვარყვარემ თავის რაზმით იმავე სისწრაფით გავლო ყარაია, ამოუარა მუხრანს და გაემართა ტრიფონის მიმდარხზე.

მართალია, ათაბაგი ახლაც ფრთხილად იქცეოდა, გზაში მცხოვრებლებს არას უშვებდა და თავის ხუთასი ცხენოსნით მიდიოდა შინ მგზავრად. მაგრამ ციცი ციციშვილმა შეიტყო თუ არა მისი ამოვლა, გაუცვირდა ძალიან, რომ ეს ურჩი და განდამილი მეფის ყმა მცირეოდენის რაზმით ბედავდა მეფისავე სამფლობელოში მგზავრობას. იმან იფიქრა, რომ ახლა კარგი შემთხვევა გვაქვს, ხელთვივდით ურჩი ათაბაგი და მეუფე დაიმორჩილოთ. იმან მეფის დაუციხებად, შეკრიბა თავისი ყმები, მოიწვია სხვა თავადშვილებიც და მტკერის მარჯვენა მხრით თავი დაუარა ყვარყვარეს, ქარელის ახლოს გავიდა მტკეარს და დაბანაკდა არადეთში, სადაც უნდა გამოეყოლო ათაბაგსაც. ამან რომ შეიტყო ციციშვილის დახვედრა ჯარით, შემოუთვალა მას. „არა რაიმე მივინეს ესოდენთა ქვეყანათა, ვიდრე ქათმისამდე, არამედ უმეტესად განვიდრე სახელი ქართველთა, ვინათგან ვუმეტრე მტრისა. ამისთვის ვერ არს თქვენდაცა სიხარული, რამეთუ ვარ მკვიდრი და მონათესავე თქვენი. აწ მიტყვი, რათა წარვიდე მშვიდობით.“ ამას შემდეგ ციციშვილმა ათაბაგთან მიგზავნა მროველი ივისკაოაზი და შეუთვალა: „ანუ მოვედ და მორჩილ ექქენ მეფესა ჩვენსა, ვინადგან ხარ მკვიდრი, ანუ შეგავყრობთ, რამეთუ ხელსა ჩემსა შინა ხარ.“ ყვარყვარემ უარით უთხრა დამორჩილებაზე და ითხოვა გავშვათ მშვიდობიანად. მროველმა ამაზედ უპასუხა ათაბაგს, რომ ის ძალა-უნებურად უნდა დამორჩილებოდა, რადგან ძალა აღმართისა ხნავსო. ათაბაგმა მიუყო: „კარგი, რაკი ძალა აღმართისა ხნავს, დავ, მოხნავს; იმართეთ ძალა და დამიპირეთ.“ მროველი ამ პასუხით მივიდა ციციშვილთან. ეს მაშინვე მიტტია თავის ჯარით ათაბაგის რაზმს და გაიმართა ფიცხელი ომი ძმთა შორის. ორივე მხრით გამოიჩინეს დიდი ეაჯაკობა, რომლის ნიმუშად საქმარისია მოვიყვანოთ ერთი შემთხვევა ამ ბრძოლის დროს. მესხმა შალიკაშვილმა ჰკრა შუბი ქართველს მარბელს, გადაავლო ცხენიდან და შესძახა: „აწყურის ლეთისმომბლის მადლმა, ურახს კეცივე რომ არ მჯდარეყავე, შუაზე-გახერცილო“. ძირს დაცემულმა და მუხლზე მდგარმა მარბელმა მოუქნია ხმალი შალიკაშვილის ცხენს და თავი მოაგდებინა, შემდეგ კიდევ მოიქნია ხმალი, დაასია შალიკაშვილის უნჯირს ტახტაზე და შესძახა:

„პარსის წმინდა გიორგის მადლობა, ჩამოვარდნილი რომ არ ცყოფილიყვი შუაზე გატყრილია.“ კარგა ხანს გამარჯვება სადავო იყო ორსავე მხრით, ბოლოს ათაბაგის რჩევლმა რახშიმა დასძლია და უკუ აქცია ქართველები. გამარჯვებული ათაბაგი მშვიდობიანად დაბრუნდა სამცხეში. ხოლო ქართველებმა თავიანთი ჯაფრი იყარეს შროველს ევისკოპოსზე, რომელსაც დაუწყვეს საყველური იმისთვის, რომ იგი, როგორც მოციქული ციციშვილის მხრით, არამც თუ არ ცუდად მოიგებებასა და მშვიდობიანობას, პირიქით გამოიწვია ათაბაგი საბრძოლველად. შვიბურეს მროველი და დაუწყეს თრევა შემდეგის სიტყვების მიძახებით: „უცეთუ ნნავს ძალა აღმართსა, ნებამ დავარცხობს თავდაღმართი“. არც კოსტანტინე მეფის იამა, რომ მის დაუეთხიხეად ვაუმართეს ბრძოლა ათაბაგს და შერისხა ციციშვილები.

დ. კარიბაშვილი.

მონსრეპული სისხვა



როი ჩვენი ბეულეური დარაისელი აზნაურშვილი, კარგი სიტყვა-პასუხის პატრონი, მიწვეული იყო ზეასად-მოადურს სადაღზედ. სადაღმა დაიგეიანა, ხლს მოშვად და ჩვენს აზნაურშვილს სომ სტეპეზედ შეტად უფორ ძალა დაატანა სიმშვიდა. სუფთაზედ რომ დასხედ, აზნაურშვილს გვერდით ერთი გენიანა მოუსყეს, რომელიც განათლებასი სდებდა თავს და თავის „გაგაღერს“ უთავოლო ღანაავით მოსკუნებას ზრ აძლევდა. აბეზარს მისული აზნაურშვილი მიეურწუნდა ღანაავიკის ჭეიფზედ მოსულს გენიანს და გულმოსულმა ჭკობის: - გენიან, თქვენმა ქმარმა მუჭანგლით შეგირთოთ, თუ უმუჭანგლითა?

გენიანს, ცოტა არ იყოს, გვესოვა ეს უგნაური კითხვა, მაგრამ მისინ არ შეკრთა და სხანა-სხუვით უმასუხა:

— მუჭანგლი რა სათქმელია, ან ჩვენში მუჭანგლის რა ხელი ჭკობხდა, ჩემმა ქმარმა მხანა, მოეწონე და შეიძროთ.

— აბრაქალა იმის გაეკაცობას! შე ღანარი შეგონაო, მიუგო აზნაურშვილმა.



„მდავლი ჩავკრით, მტარებლით და სეპლით“ განთქმული მოსლექ მისდამი მიწდობილს მსარეს გაშორდა და სხვათა საზრამეულში-წაჯიდა დროს გასატყრელად. ამაგი მიუტანეს, რომ თქვენს მსარესი დიდი ავსაკობა, ცრფვა-რეგვა და მიქსელეთო-გულნაწეუნმა მოსლექ უფბად იქე მოატკრა თვლი ერთის თავის ხელჭეივის, რომელსაც

ნება-დაუთოვლად თავის უფროსისთვის მიკამნა და სეპლითადვე წამოსვლიყო. გაკვარებულმა უფროსმა შეუტია: იქ ხლსს არბეკენ, სცარცვენ და თქვენ კი ქ ჩემგან ნების აუღებლად წამობრძანესულხართო.

— შე და თქვენ ახ ვართ და იქ ცარცვა-რეგვას სხვა კინად გახედვისო!— მიუგო შეუთოვარმა ხელჭეივითა.



ხშირ და სუკუტ თმინს პოეტს, რომელსაც ის იყო, ასლად თავი გატყობა, ჭკობის ერთმა თმა-გარცნილმა თავ-გადაღესილმა მოხლემ:

— ნეტა შენი ხუჭუჭი თმები ხლ დაგაკვარებო.

— შენი თმების საქანულად გაკეჩანეთო, — უმასუხა პოეტმა.



დიდი გაცის სახეში ღანაავი ჩამოვარდა იმაზედ, რომ ჩვენს შვილებს სოალეში ძველა ენების, ბერძნულისა და ღათისურის, სწავლა უჭირთო.

— ავი ჭართულსაც მაგეტამ არა სწყალობენო, მოსწრებით უთხრა მესაურემ.

„კალინ“ მემორი ნომრის სურათების შესახებ

სურათები „კალის“ პირველად დაუხატეს კანონიკის დროს 1849 წ. მსატკარს უფოკისის. არ ვიცით ამ ორ სტენას გარდა სხივ უოთხედა ნახატო თუ არა, ან აკვარელით თუ ტუთში. ხოლო იმის ნახატებიან გუბერნიის არხიუქტორის ტრიოთუ ულოის ეადმოუღია აკვარელით თავის ალობში, რომელსაც გადმოღებულა „კვამში“. ალობი ეკეთესანს ბულოის შვილს, რომელსაც მადლობას გუდგებით ძხოკვიისათვის.

სასურველია მოკითხულ იქმნას უფოკისის ნახატები. შესაძლებელია განსვენებულ მიხილ სვიმონის მის კორინტოვის მუქვიდრეთა პაბლითიკვაში მოიძენსეოდეს ოდენსაში, ან სხვაგან სდამე. წემოსისხეული ბულოის აკვარელს ზოგს ქვეშ და ზოგს უგანა პირზე კანანდამით აწერას: სახელები კომპლიის მომქმედ პირთა. ეს წარწერა რომ არ ჭკობოდა; იქნება დაგარგულიყო კადევ. შესაძლებელია ამ გარწმებ მდეს წასათმისმა კანანდამით ნაწერმა სახელებმა სხვაგანც ამოაჩინოს რამე

მედიონის განსორება

კვალი № 2-ში ნახატებს ქვეშ წარწერა შერეულად არის. უნდა იყოს 3 გვერდზედ მარცხენა ნახატს ქვეშ კნ. ქეთევან ორბელიანისა და არა ბ. ანდრეევსკისა. 12 გვერდზედ უნდა იყოს მარცხენა ნახატს ქვეშ კნიაჯი. მარჯამ ერისთვისა და არა კნ. ქეთევან ორბელიანისა.

რედაქტორ-გამომცემელი ან. ო. წერეთლისა

ბანსხალეა

სამეცნიერო და სალიტერატურო ნასაგებოანი გამეით

„კვალნი“

გამოდის ამ 1893 წლიდან ყოველ კვირასი ერთსელ ერთიდან სამ თაბახამდის.

მუდმივი თანამშრომელი არიან: თ-დი აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, თ-დი ი. მახაბელი.

წლიურად ელირება გაუზგაენელად 7 მანეთი, ხოლო გავზაენით 8 მანეთი.

ნახევარის წლისა გაუზგაენელად 3 მან. 50 კ. გავზაენით ოთხი მანეთი. სამი თვისა გაუზგაენელად 2 მანეთი, გავზაენით 3 მანეთი. თითო წომე-რი აბახათ.

ხელინმფყაბა გიილეაბა

ტფილისში არწრუნისელო ქარვასლის ქართულ სახლო სამკითხველოში და წერაკითხვის საზოგადოების კანცელარიაში.

ქალკს გარემე ხელის-მომწრთა შეუძლიანთ შიქტანს ჯეჯილის და ეკალის რედაქციაში ამ ფურნალის დასაბარელოდ.

ენიქ ჯეჯილსა და ეკალს ერთად დაიბარებს, იმათთვის წლიურად ელირება გაუზგაენელად 10 მან., ხოლო გავზაენით 12 მან.

კერძო განცხადება დაიბეჭდება სხვა-დასხვა ენაზე.

საქმასწავლიო სურათებიანი კურსალი

ჯეჯილი

წელიწადი მესამე

გამოვა 1893 წელსაც აგრეთვე ორ თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორთაც აქამდის.

ჯეჯილიში დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშნავ-კატოცხოვერების აღწერა, პოეზიები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშვო სათამაშოანი და საფარჯისონი, სამათემატიკო გამოცანები, იგაგები, ანდაზები, გამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტივით.

ფურნალში მონაწილეობის მიღება აღკვეთიქვს ყველა ჩენმა საუკეთესო მწერლებმა.

ფურნალი ჯეჯილი ტფილისში დატარებით ღირს—3 მან. ტფილისს გარეშე გზაენით 4 მან.

კალექ ნოზრის ფასი ტფილისშიარის 70 კაპ, ხოლო სხვა ქალაქებში—ქუთაისს, ბათუმს და გორში,—75 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლიურად ნახევარი წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) ბთილისში — წერაკითხვის საზოგადოების კანცელარიაში Дворцовая ул., д. Зем. Банка. № 102), ქართველთა ამხანაგობის წიგნის მალაზიაში და თვით ჯეჯილის რედაქციაში (Красногорская ул. д. № 7 Назарова).

2) ქუთაისში — ბ. ბაქაძესთან, ღმ. ბაქაძის სახლში.

3) გორში — მკ. შურცელაძისას.

4) ბათუმში — მ. ნიკოლაძის სააგენტოში.

5) სახანაგოში — გარამან ჩხეიძისას.

ფოსტის ადრესი: Вь Тифлисъ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джежили“.

ქართულთა ამხანაგობის

წიგნის მალაზიაში

ისყიდება ამხანაგობის შემდეგი გამოცემანი:

| | |
|--|------|
| თხზულებანი ა. ყაზბეგის (მოთხრობითისა) ავტორის სუ-მ. კ. რათით და ფასიმილეთი. სამი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1—20 |
| იგივე მშვენიერს ქალაღზე და მშვენიერისსვე ყლით, თითო ტომი ცალკე | 2—50 |
| სამივე ტომი | 7— |
| სრული საზარეულო ქართულისა და ევროპიული საქმეებისა | 1—20 |
| იგივე ყლით | 1—40 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფასიმილეთი | —80 |
| იგივე მშვენიერის ყლით | 1—25 |
| დაბადება და აღზრდა ერკლე ბატონიშვილისა, ლეკენდა-პოემა ბანაშისი | —15 |
| ხალხური ზღაპრები I ნაწილი | —30 |
| იგივე ყლით | —40 |
| ბნელი, მოთხრობანი მ. მელაიასი (სვედონიმი) | —40 |
| იგივე მშვენიერის ყლით | —90 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა ავტორის სურათით და ფასიმილეთი, ტომი I | 1—20 |
| იგივე კარგს ქალაღზე მშვენიერის ყლით | 2—50 |
| ტომი II | 1— |
| იგივე კარგს ქალაღზე მშვენიერის ყლით | 1—50 |
| ნაწი | 1— |
| თხზულებანი ა. ყაზბეგისა ტომი მე-IV | 1—20 |
| იგივე კარგს ქალაღზე მშვენიერის ყლით | 2—50 |
| სოფლის კუნწულა, დ. მახანელისა | —20 |
| იზა, ორივე წიგნი ჭავჭავაძისა IV ტომი | 1—60 |
| იგივე კარგს ქალაღზე | 3— |
| კედლის ქართული კალენდარი | —40 |